

ნოტერ დამი და გალაქტიონი

ავტორი: აკაკი სხვიტარიძე

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ხანძრის შემდგომ საკმაოდ აქტუალური მსჯელობის თემა გახდა, დავინტერესდი იყო თუ არა ასახული პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სახე ქართულ ლიტერატურაში, პროზასა თუ პოეზიაში.

როგორც აღმოჩნდა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ქართულ ნაწარმოებში, სულხან საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ ფიქსირდებოდა ნოტრდამი. სამწუხაროდ სწორედ საფრანგეთის და პარიზის ნაწილი არ არის შემორჩენილი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სულხან-საბას ისეთივე ოსტატობით ექნებოდა აღწერილი ნოტრდამი როგორც ოსტატობითაც ის აღწერს იტალიის ძეგლებს, ტაძრებს, სასახლეებს თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობებს რომლებიც გზად ხვდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასა თუ პოეზიაში პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი არ გვხვდება, ვინაიდან ეს იყო პერიოდი რომანტიზმისა, ეროვნულობისა, კრიტიკული რეალიზმისა და ქართველ მოღვაწეებს უცხოური ძეგლებისადმი თუ ხელოვნების ნიმუშებისადმი ხოტბის შესხმის დრო სავარაუდოდ არც ჰქონდათ.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი კვლავ ჩნდება მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში ძირითადად იმ პოეტებისა თუ მწერლების შემოქმედებაში, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ საფრანგეთთან. მათ შორის არიან „ცისფერყანწელები“ მაგალითად პაოლო იაშვილი თავის ნოველაში „ფერადი ბუმტები“ აღწერს პარიზელ მათხოვრებს რომლებიც ნოტრ დამის ტაძრის წინ ითხოვენ მოწყალებას. აქა-იქ ტიციან ტაბიძესაც აქვს მოხსენიებული პროზაულ პუბლიკაციებში, თუმცა ვერ ვიტყვით რომ აქ ნოტრდამის სახე იკვეთება.

ნოტრდამის სახე შედარებით კარგად ჩანს კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“. მთავარი გმირი სატრფოსთან, გულისსწორთან ერთად შედის სიტეს კუნძულზე მდებარე ტაძარში სადაც ის ათვალიერებს ვიტრაჟებს და ხედავს აპოკალიფსურ სცენებს. :

"ამაზე ულამაზესი ადგილი პარიზში არ მეგულება. საღამოობით საუცხოოა ნოტრდამი, მგლოვიარე ქალწულს გაეს.

ტაძარში ოდნავ ბნელოდა. შესვლის უმალ სპეციფიური საყდრის სუნი მეცა. უკანა რიგებში არც ერთი თავისუფალი ადგილი. მლოცველების დიდი ნაწილი არეებში დაჩოქილი ისმენს მწუხრს. შავი სილუეტების ლიტანიები, ლოცვანების ხმადაბალი, ქორალური კითხვა.

მაღალ, დაბნელებულ თაღბქვეშ საოცარ, მისტიურ გარინდებას დაუსადგურებია. აპოკალიფსურ მოტივებზე მოხატულ ვიწრო, მაღალი ფანჯრებიდან იისფერი შუქი იფრქვევა ამეთვისტოსფერ ფონზე.

პატმოსის ჭალაკი, ზეწრით შესუდრული ძე კაცის მსგავსის თოვლივით სპეტაკი თავი, ალისებური ბრწყინვალე თვალები. მისი პირიდან ორპირ აღლესული მახვილი ამოდის. ხელთ უპყრია კლიტენი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი. (კონსტანტინე გამსახურდია, დიონისოს ღიმილი, პატმოსის ჭალაკი)

თუმცა ყველაზე უკეთ ნოტრდამი აისახა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

გალაქტიონი შეყვარებული იყო პარიზზე, ეს მისი დღიურებიდან ჩანს.

1935 წელს იმყოფებოდა პარიზში, 17 ივნისს გალაქტიონი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინ იდგა და ის შეესწრო თეატრალიზებული რელიგიურ ღონისძიებას, რომელშიც ინსცენირებული იყო სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან. პოეტი ასე აღწერს ამ ფაქტს:

ისმოდა გალობა, ორგანოს ხმები და ზარების რეკვა.

ეს მისტერია მოწყობილი იყო სორბონის რომელიდაც პროფესორის მიერ. მისტერია დადგმული იყო საშუალო საუკუნეების მწერლის არნულ გრებანის ტექსტის მიხედვით (იგი იყო ღვთისმეტყველების ბაკალავრი, ორგანისტი, მსწავლული კანონიკი, საშუალო საუკუნეების ჰუმანისტი. მაცხოვრის როლს

ასრულებდა გამოჩენილი [რომულად ჟუბე] არტისტი. როდესაც იგი შეუდგა გეთსიმანიის ბაღში ლოცვას, უეცრად დაეშვა კოკისპირული წვიმა. არტისტები ხიტონებით ეხვეოდნენ, საზოგადოება კი გარბოდა. ნოტ-დამის კოშკებიდან ხარხარებდნენ ქიმერები: მისტერია ჩაიშალა.

ამ ფაქტით შთაგენებულმა დაწერა ლექსი „მისტერია წვიმაში“

დღეს ნოტ-დამთან (სნებთან ფანტაზიის ნახატი!) კალენკორის ფრთებიან ანგელოზებს ნახავდი. ღია ცის ქვეშ მტვერია, კარებს აღებს მისანი და მიდის მისტერია: „ვნებანი უფლისანი“. სცენა გამოხატავდა სამოთხეთა შევენებას და გარშემო ფანტავდა რაღაც საშინელებას... მაღლა ტიტანიური იყო ღრუბელთ თეთრობა, საიდანაც ციური ეშვებოდა მხედრობა. მარჯვნივ – უზარმაზარი დევი მწვანე თვალებით, კოშკი, როგორც ტამარი, ედგა ზურგზე ბრჭყალებით. და კოშკის კბილებიდან ცბიერი და ხელშმაგი, როგორც შორი მთებიდან იზრდებოდა ეშმაკი. კოშკიდან კი დროდადრო კრთოდა ცეცხლის ენები, თითქოს ცეცხლმა დაათრო ჯოჯოხეთის ფენები. ირეოდა გალობა შორი, ხმადაბუგული, ორღანოთა მკრთალობა და ზარების გუგუნე. წაიშალა ეს გრიმი, არცთუ ისე გმირული, წამოვიდა რა წვიმა ჩქარი, კოკისპირული. ამინდი გაკვიმატდა, დამამ ქოლგა გაშალა, წვიმამ უფრო იმატა – მისტერიაც ჩაშალა. და შემდეგ კი (სნებთან ფანტაზიის ნახატი!) კალენკორის ფრთებიან ანგელოზს ვერ ნახავდი. მაღლა ტიტანიური გაჰქრა ღრუბელთ თეთრობა, საიდანაც ციური ეშვებოდა მხედრობა.

როგორც ჩანს გალაკტიონზე ნოტ დამს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომელი შთაბეჭდილებითაც შემდგომ მას დაუწერია ლექსი „ვნახე ნოტრდამი“ მართალია ლექსი არ არის შემორჩენილი დღემდე თუმცა 1937, 1939 და 1956 წლების დღიურებში ის კვლავ ახსენებს ამ ლექსს, გადასაწერად ან დასაბეჭდად გამზადებულ ლექსებს შორის. თუმცა შემორჩენილია 1935 წლის დღიურიდან ლექსის ერთი სტროფის საცდელი ვარიანტი

[დღე მზიანია, მაგრამ ნოტრდამი დემონის ხელით არის ნახატი.]

მაგრამ ნოტრდამი, როგორც კლდე მთაზე,
დემონის ხელით არის ნახატი,
როგორც კლდე კლდეზე, როგორც ქვა ქვაზე...

ნოტრდამი დემონის ხელით არის ნახატი, შესაძლოა პოეტს სწორედ ტამრის გოთიკურობამ შთააგონა ეს, თუმცა როდესაც გალაკტიონი მომდევნო პერიოდში კვლავ ახსენებს ნოტრდამს ის ასეთ რამეს ამბობს:

<p>ქიმერა ყომრალ ღრუბლებში ორიოდ წამით, მომსგავსებული ცისფერ ფაიფურს, სიღრმით სინათლე მოიჭრა ღამით, რომ ისევ ყომრალ ფრთით დაიბუროს. ასეთი იყო შუქი ნოტრ-დამის, სად ყრუ ქიმერა ჰგავდა კენგურუს. [1940]</p>	<p>ეხლა, ძვირფასო მოგონებავ, გიაშბო მინდა, გაგოზიარო ყოველივე მინდა, გულახდით. ჩვენში როგორ რთავს გაზაფხული ქალაქს და მინდორს, თუ როგორ ბრწყინავს აღტაცებით და შრომის ტახტით. მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ, გული არა მაქვს უდარდელით სავსე სიმღერით... წყნარად, ნოტრ-დამო! თითქმის ორმოც წელზე მეტია ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ ეხლა ქიმერით?</p>	<p>ცეცხლთან ფოლადურ ძლიერი ქროლით მიჰყავს, იქმნება ბედისწერის წამს ის, ვინც გიცნობდა იოტით მაინც, ვინც ექვს მოჰკლავდა განსაცდელის ჟამს. დალატი! ეხლა მარტოდმარტო ხარ: გული არა აქვს არც მზეს, არც ნოტრდამს. ნოტრდამო, გული საგულეში არ დამეტია. შენს ფრთებზე ღელავს ქიმერები, როგორც სიმინდი. სუს, მოგონებავ! ორმოცდაათ</p>
---	---	--

		წელზე მეტია ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ ეხლა იმითი.
--	--	--

გალაკტიონს ნოტრდამი ქიმერით აშინებს. მიჩნეულია რომ ე.წ. გარგულები ხალხის რწმენით ბოროტი ძალების დასაფრთხობად გამოიყენებოდა, თუმცა გალაკტიონი სხვანაირად აღიქვამს მას. ის თითქოს ეხმინება შუასაუკუნეების ევროპის რელიგიის გამოძახილს, იმ რელიგიისა რომელიც ხალხს ჯოჯოხეთით აშინებდა. და აი ნოტრდამი ჯოჯოხეთური არსებით, ქიმერით აშინებს გალაკტიონს, მაგრამ მას არ ეშინია, არა იმიტომ რომ ის ღმერთთან ახლოსაა და დაცულია, არამედ იმიტომ რომ ის ღმერთს გაეყარა უკვე ორმოც წელზე მეტია და მას ჯოჯოხეთური არსებები ვეღარ შეაშინებენ. ამიტომ გალაკტიონი ცოტა არ იყოს ირონიით მიმართავს ნოტრდამს და აწყნარებს მას.

ნოტრდამი დემონის ხელით არის ნახატი, ნოტრდამს გული არ აქვს, თუმცა ის არის მარადიული ძეგლი, და პარიზის მცველი. 1943 წლის ლექსი „პარიზი“-ს ერთერთი სტროფიდან სწორედ ამას ვიგებთ:

ბალიუსტრადით და კოშკებით,
როგორც ძეგლი მუდამი,
როგორც მცველი პარიზისა,
აღმართულა ნოტრ-დამი.

ვიკტორ გიუგო

რომ მტერს პასუხი მიუგოს -
ძალუმს მარტოდენ - ჰიუგოს.
ძეგლი - პარიზში რომ ვნახე,
არ მავიწყდება ის სახე.
ვით დავივიწყო ის წამი:
ის პერლაშეზი, ნოტრ-დამი,
შენ ცოცხალი ხარ, ქვაგ, ლოდო,
ქიმერავ და კვაზიმოდო.
საყვარელია აგეთი -
ის მხარე, ის საფრანგეთი.

მართალია გალაკტიონს ისეთი ხოტბა არ შეუხსამს ნოტრდამისთვის როგორ ქებათა ქებასაც ის უძღვნის ნიკორწმინდას, რომელიც ღვთიური ტაძარია, რომლის ხაზებშიც ანთია ცეცხლი მისარქმელი ანუ იესო ქრისტე. მაგრამ ამკარაა, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ნოტრდამი არც თუ ისე მკრთალად ასახულა.

და აი ახლა როდესაც ჩვენ ვიხსენებთ ნოტრდამს, რომელსაც ერთი კვირის წინ სახურავი დაეწვა, ჩვენ ალბათ შეგვიძლია დავესესხოთ გალაკტიონს და ვუსურვოთ პარიზელ ხალხს და პარიზს რომ ნოტრდამი კვლავ მდგარიყოს პარიზის სადარაჯოზე, როგორც მცველი პარიზისა, როგორც მარადიული ძეგლი, ძეგლი მუდამი

გმადლობთ ყურადღებისთვის.